საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

# BATUMI STATE MARITIME ACADEMY

# ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

1929

## ამწის ოპერირება

პროგრამის კატალოგი

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 27, 26.12.2017 წ.

European Commission TEMPUS

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

| | |
|---|---|
| **სწავლების საფეხური** | პროფესიული |
| **პროგრამის დასახელება** | ამწის ოპერირება |
| **კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი** | **ნაციონალური :** მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში;<br>**საერთაშორისო :** Pearson SRF Level 3 (Georgian Level 4) Diploma in Crane Operations |
| **პროგრამის ხელმძღვანელები** | ამირან ნაკაშიძე<br>ელ.ფოსტა: a.nakashidze@bsma.edu.ge |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | ბათუმი, რუსთაველის ქ.№53<br>ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge |
| **სწავლების ფორმა** | სტაციონარული |
| **პროგრამის მოცულობა** | 76 ECTS |
| **პროგრამაზე ჩარიცხვის წინა პირობა** | სრული ზოგადი განათლება;<br>ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა ფორმა №IV -100/ა“;<br>პროფესიული ტესტირების შედეგები;<br>ამწის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ( 46 ECTS) |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **სწავლების ფორმატი** | ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, როლური თამაში სიმულაციის პროცესში |






## პროგრამის მიზანი

*მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სამრეწველო, სამოქალაქო , სპეციალური დანიშნულების, მათ შორის ნავსადგურის, სატვირთო ოპერაციების განსახორციელებლად.*

## პროგრამის შედეგები

*საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს . მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარების საფუძველზე შეუძლია:*

- *აწარმოოს სატვირთო ოპერაციები: გადაადგილება/განთავსება, აწევა/დაშვება;*
- *გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები: ტვირთსატაცი, ტვირთამწევი;*
- *აწარმოოს ამწის სამუშაოდ მოსამზადებელი სამუშაოები, განახორციელოს სამუშაოს წინარე და შემდგომი, პერიოდული და გეგმიური დათვალიერება;*
- *აწარმოოს ამწის საეწპლუატაციო მახასიათებლების კონტროლი და ტექნიკური დათვალიერება და სხვა სერვისები;*
- *დაიცვას სამუშაო გარემოს უსაფრთხოება და პერსონალის ჯანმრთელობა, სანიტარული ნორმები და სხვა რეგულაციების მოთხოვნები;*
- *შეაფასოს პერსონალის შესაძლებლობები და გადაანაწილოს შესასრულებელი სამუშაოები;*
- *გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები;*
- *განახორციელოს ამწის სამუშაო ოპერაციების ზედამხედველობა;*
- *განახორციელოს სამუშაოთა შესრულების კონტროლის ორგანიზება-კოორდინაცია;*
- *დაგეგმოს და განახორციელოს დანადგარების, აღჭურვილობისა და მექანიზმების გამოყენების სამუშაოები და მონიტორინგი;*
- *დაგეგმოს და შეასრულოს სამუშაო მოედანზე ტვირთის პოზიციონირების სიზუსტის უზრუნველყოფის სამუშაოები;*

## პროგრამის სტრუქტურა



პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა აითვისოს **76** კრედიტი, აქედან :

- 7 ECTS ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი მოდულები;
- 69 ECTS საერთო პროფესიული/დარგბრივი მოდულები;
- პროგრამის ხანგრძლიობაა 14 თვე.



## დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა სხვადასხვა ტიპის კოშკურა , ხიდური, ჯოჯგინა, პორტალური , მობილური და სხვა ტიპის ამწეები , რომლებიც , ემსახურებიან სამრეწველო, სამოქალაქო , სპეციალური დანიშნულების, მათ შორის ნავსადგურის, სატვირთო ოპერაციების განსახორციელებას . ასევე მონაწილეობს ჩასატარებელი სამუშაოების დაგეგმვაში და მონიტორინგში.



| | |
|---|---|
| ადამიანური რესურსი | საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალი, საზღვაო სფეროს და დარგის სპეციალისტები. |
| მატერიალური რესურსი | საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს.<br>საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო სახელოსნოები, რომლებიც სასწავლო-საწვრთნელი დანადგარებით და სიმულატორებითაა აღჭურვილი |
| შეფასების სისტემა | ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია მოდულებში. |

**BATUMI STATE MARITIME ACADEMY**
**ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**



*თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!*